

საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება № 412

ქ. ხონი

28 მაისი 2015 წელი

ხონის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებების, გარემოს
დაცვის და მდგრადი სოფლის მეურნეობის საკითხების
შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფის
შექმნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის “ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” პუნქტის, “ე.ვ.” ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის”-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის 2015 წლის 23 მარტის №001410 წერილის, ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის აგრარული განყოფილების უფროსის (ლ.გელენავა) მოხსენებითი ბარათის (რეგ №2371 05.05.2015წ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას კლიმატის ცვლილებების, გარემოს დაცვის და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესწავლის მიზნით სამუშაო ჯგუფი:

- ლიანა გელენავა – გამგეობის ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის აგრარული განყოფილების უფროსი – ჯგუფის ხელმძღვანელი და საკონტაქტო პირი
- მარინა ძაძამია – ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი-წევრი
- მაყვალა ბახტაძე – გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსი-წევრი
- შალვა ბურჯალიანი – ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მთ. სპეციალისტი-წევრი
- ზაზა ცაავა – შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთ. სპეციალისტი-წევრი.
- მარიკა რუხაძე – კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთ. სპეციალისტი-წევრი.

2. ეთხოვოს:

მარიკა კუხალაშვილს – მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, საკრებულოს მთავარ სპეციალისტებს – გოგი კაკაურიძესა და ლელა ჯანელიძეს, ა(ა)იპ “კომუნალური სერვის ცენტრი“-ს შეყიდვების კოორდინატორ ნანა ჯანელიძეს, მონაწილეობა მიიღონ და გაუწიონ კომპეტენციის ფარგლებში დახმარება სამუშაო ჯგუფს.

3. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის და ჯგუფის ხელმძღვანელის-საკონტაქტო პირის ფუნქციები დანართი 1-ის შესაბამისად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა №1).
5. ბრძანება ძალაშია დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი:



ჯემალ მებუკე

სამუშაო ჯგუფის ფუნქციები:

- ჯგუფი-რეგულარულად განიხილავს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ გარემოსდაცვით საკითხებს; ანგარიშებს; თვითმმართველ ერთეულში მიმდინარე გარემოსდაცვით, კლიმატის ცვლილებასთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროექტებს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანს გადაწყვეტილებებს ამ საკითხებზე.
- ჯგუფის წევრები ხელს შეუწყობენ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას თვითმმართველ ერთეულში და აამაღლებენ გარემოსდაცვით სექტორში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ქმედებების და დახარჯული რესურსების ეფექტიანობას.
- საკუთარი კომპეტენციის და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფი ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების ჩარჩო სამოქმედო გეგმების შექმნას პროექტის "საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)" ფარგლებში.
- სამუშაო ჯგუფი ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმების განხორციელებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მოახდენს მათი განხორციელების მონიტორინგს.
- სამუშაო ჯგუფი ითანამშრომლებს სხვა მუნიციპალიტეტების შესაბამის ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განსაკუთრებით შესაბამისი სამინისტროების სხვადასხვა სტრუქტურებთან.
- რეკომენდაციას გაუწევს თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილების მიღებაში ამა თუ იმ გარემოსდაცვით საკითხზე თუ პროექტზე.

ჯგუფის ხელმძღვანელის - საკონტაქტო პირის ფუნქციები:

- ჯგუფის ხელმძღვანელი გახდება, კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე, საკონტაქტო პირი დაინტერესებული მხარეებისთვის დონორებისთვის, სამინისტროებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციისთვის.
- ჯგუფის ხელმძღვანელი აღნიშნულ საკითხებზე მოამზადებს მასალებს, ანგარიშებს, დოკუმენტებს, როგორც კომისიისთვის, ასევე საკრებულოსთვის განსახილველად და გადაწყვეტილებების მისაღებად. აღრიცხავს თვითმმართველ ერთეულში გარემოსდაცვით საკითხებზე მიმდინარე ყველა პროექტს თუ ინიციატივას, ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას და შეაფასებს ამ პროექტების წარმატებულობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. აგრეთვე შეაგროვებს ინფორმაციას თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებზე.
- ჯგუფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ჯგუფის მიზანმიმართულ საქმიანობას.

ხონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი:



ჯემალ მებუკე